ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 33-141

29 დეკემბერი
"---" -------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 79–ე მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის თანდართული წესი.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

<u>დანართი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განაკვეთებს, ასევე საფასურის გადახდის, გადახდისაგან გათავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესსა და პირობებს.
2. მომსახურება, რომელიც არ რეგულირდება ამ წესით და მისი განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს სააგენტოს ვალდებულებას, ხორციელდება უსასყიდლოდ.

მუხლი 2. საფასურის ცნება

საფასური არის ფიზიკური/იურიდიული პირის (შემდგომში – პირი) მიერ ამ წესით დადგენილი ოდენობით, სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების მისაღებად, მის ანგარიშზე გადასახდელი სავალდებულო თანხა.

მუხლი 3. საფასურის დაწესება და მისი ოდენობის განსაზღვრა

1. საფასურის შემოღება და მისი ოდენობის განსაზღვრა ხდება ამ წესით.
2. ამ წესით დადგენილი საფასური მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს (მათ შორის: გადასახადებს).

მუხლი 4. მომსახურება

1. მომსახურება ამ წესის მიზნებისთვის გულისხმობს, სააგენტოს მიერ კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, ამ წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებას.
2. სააგენტოს დირექტორი უფლებამოსილია განსაზღვროს მომსახურების მიღების განაცხადებზე რეაგირების პარამეტრები, მომსახურების გაწევის განრიგი და მომსახურების მიღების მსურველთა რიგითობის წესი.
3. სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ცხოველების ტრანსპორტირება

1. ამ წესის მიზნებისთვის:

ა) ტრანსპორტირება გულისხმობს, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ სპეციალური ავტოტრანსპორტით, პირის განცხადების და ამ წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც მოიცავს პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველის/ცხოველის ლეშის ტრანსპორტირებას

პირის მიერ მითითებული საწყისი პუნქტიდან დანიშნულების ადგილამდე, ტრანსპორტირების მანძილის და მოლოდინის/დაყოვნების პერიოდის გათვალისწინებით;

ბ) ტრანსპორტირების მანძილის საზომად გამოიყენება 1 კილომეტრი;

გ) მოლოდინი გულისხმობს, სააგენტოსა და პირს შორის წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ, პირის მიერ მითითებულ საწყის ან შუალედურ პუნქტში ლოდინის საერთო დროს;

დ) დაყოვნება გულისხმობს, ტრანსპორტირების პროცესში წინასწარი შეთანხმების გარეშე პირის თხოვნის საფუძველზე დამატებულ დროს, რომელიც აღემატება სააგენტოსა და პირს შორის წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ, პირის მიერ მითითებულ საწყის ან შუალედურ პუნქტში ლოდინის საერთო დროს;

ე) მოლოდინის/დაყოვნების პერიოდის საზომად გამოიყენება 10 წუთი;

ვ) მოლოდინის/დაყოვნების პერიოდის ათვლა იწყება პირველი 10 წუთის გასვლის შემდეგ;

ზ) მოლოდინის/დაყოვნების დაშვებული საერთო მაქსიმალური პერიოდი შეადგენს 120 წუთს.

2. სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ტრანსპორტირების საფასური შეადგენს 1 ლარს - 1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური - 2 ლარი.

3. სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველის ტრანსპორტირებისას მოლოდინის/დაყოვნების საფასური შეადგენს 2 ლარს - 10 წუთში.

4. მხოლოდ პირის განცხადების საფუძველზე, სააგენტო უფლებამოსილია მოახდინოს ცხოველის ტრანსპორტირება შუალედურ პუნქტებში, ტრანსპორტირების მარშრუტის ცვლილება (გაზრდა), ან დაბრუნება დანიშნულების ადგილიდან საწყის პუნქტში, ტრანსპორტირების მანძილის, მოლოდინის/დაყოვნების დროის გათვალისწინებით და შესაბამისი საფასურის გადახდის საფუძველზე.

მუხლი 6. ცხოველების იდენტიფიკაცია

1. ცხოველების იდენტიფიკაცია ამ წესის მიზნებისთვის გულისხმობს სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, სპეციალური ავტოტრანსპორტით (პირის მიერ მითითებულ მისამართზე (შემდგომში - მისამართი)) ან მის გარეშე (სააგენტოს ცხოველთა თავშესაფარში (შემდგომში - თავშესაფარი)), პირის განცხადებისა და ამ წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც მოიცავს პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველის:

ა) სხეულში მიკრო-ჩიპის ინპლანტაციას (შემდგომში ჩიპირება);

ბ) კანზე ტატუს დატანას (შემდგომში ტატუირება);

გ) ყურზე საჭდის („ბირკის“) მიმაგრებას.

2. სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების იდენტიფიკაციის საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ჩიპირება:

ა.ა) თავშესაფარში - 10 ლარი;

ა.ბ) მისამართზე - 23 ლარი;

ბ) ტატუირება:

ბ.ა) თავშესაფარში - 1 ლარი;

ბ.ბ) მისამართზე - 14 ლარი;

გ) ყურზე საჭდის მიმაგრება:

გ.ა) თავშესაფარში - 3 ლარი;

გ.ბ) მისამართზე - 16 ლარი.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ცხოველების ამ მუხლით გათვალისწინებული იდენტიფიკაცია - ტატუირებით, სააგენტოს მიერ ხორციელდება უსასყიდლოდ, წინასწარი განაცხადის საფუძველზე.

4. ურბანულ გარემოში ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ცხოველთა კერძო თავშესაფრებში შეყვანილი ცხოველების (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია (ძაღლი - საჭდით, კატა - ტატუირებით), სააგენტოს მიერ ხორციელდება უსასყიდლოდ, თავშესაფრის მესაკუთრის/მფლობელის სურვილის შემთხვევაში და წინასწარი განაცხადის საფუძველზე.

მუხლი 7. მომსახურების პირობები და ვადის გამოთვლა

1. სააგენტოს მიერ ამ წესით დადგენილი მომსახურების შესასრულებლად სააგენტო უფლებამოსილია, პირთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული იქნება მომსახურების განხორციელების ვადები და ტექნიკური პირობები.

2. ამ წესით დადგენილი მომსახურების განხორციელების მიზნით:

ა) პირი უნდა დაუკავშირდეს სააგენტოს ტელეფონით ან სხვა ელექტრონული საშუალების (ვებგვერდი, სპეციალური ელექტრონული პროგრამა და ა.შ.) მეშვეობით და გამოთქვას მომსახურების მიღების სურვილი;

ბ) სააგენტოს შესაბამისი ოპერატორი პირს ტელეფონით ან სხვა ელექტრონული საშუალების (ვებგვერდი, სპეციალური ელექტრონული პროგრამა და ა.შ.) მეშვეობით მიაწოდებს ინფორმაციას გასაწევი მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის შესახებ;

გ) პირის მიერ მისთვის ამ პუნქტის გათვალისწინებით მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ და მისი თანხმობის შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლები, პირს უშუალოდ წარუდგენენ (მისამართზე ან თავშესაფარში) მომსახურების გასაწევად საჭირო დოკუმენტებს შესავსებად და ხელმოსაწერად (განაცხადის ფორმა, ხელშეკრულება, ქვითარი და ა.შ.), რომელთა გაფორმებისა და ამ წესის მიხედვით საფასურის გადახდის შემდეგ, განხორციელდება შესაბამისი მომსახურება.

მუხლი 8. საფასურის გადახდის წესი და პირობები

1. ამ წესით განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობისათვის პირი ვალდებულია გადაიხადოს ამ წესით განსაზღვრული შესაბამისი საფასური.

2. პირის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი/დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია.

3. საფასური გადაიხდება წინასწარ, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე.

4. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაყოვნების საფასური, ასევე ტრანსპორტირების პროცესში პირის თხოვნის და მის მიერ დასახელებული ობიექტური გარემოებების საფუძველზე, ტრანსპორტირების მარშრუტის ცვლილების შედეგად გაზრდილი ტრანსპორტირების მანძილის საფასური, გადაიხდება შესაბამისი მომსახურების გაწევის შემდეგ, ნაღდი ანგარიშსწორებით.

5. ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ამ წესით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად განხორციელებული ანგარიშსწორების მართლზომიერებაზე/სისწორეზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

7. არამართლზომიერად ან/და არასწორად განხორციელებული ანგარიშსწორების გამოვლენის შემთხვევაში, განხორციელებული მომსახურების შედეგები ბათილია.

8. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

მუხლი 9. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება

1. თუ საფასური გადახდილია ამ წესით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება გადახდილ თანხასა და ამ წესით დადგენილ განაკვეთს შორის სხვაობა.

2. გადახდილი საფასური მთლიანად ბრუნდება, თუ:

ა) სააგენტო სათანადო ობიექტური საფუძვლის (მატერიალური საშუალებების ტექნიკური გაუმართაობა, ექსტრემალური ვითარებით ან სააგენტოს რეაგირებების ღონისძიებების მკვეთრი ზრდით განპირობებული მოუცლელობა და სხვა) არსებობისას უარს აცხადებს მომსახურების განხორციელებაზე;

ბ) პირი მომსახურების შესახებ განცხადების წარგენამდე მოითხოვს თანხის უკან დაბრუნებას;

გ) სააგენტომ მომსახურება არ განახორციელა ამ წესით დადგენილი პირობებით.

3. თუ პირი ვერ მიიღებს მომსახურებას მის მიერ გადახდილი საფასურის შესაბამისად მოთხოვნილი პირობებით და სურვილი აქვს ისარგებლოს სხვა პირობებით, რომლისთვისაც ეს წესი ითვალისწინებს განსხვავებულ (ნაკლებ ან მეტ) საფასურს, მაშინ პირს, შესაბამისად, დაუბრუნდება სხვაობა ამ ორ საფასურს შორის ან დამატებით გადაიხდის სხვაობის საფასურს.

4. ამ წესის გათვალისწინებით, გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან მთლიანად უკან დაბრუნება ან მისი გამოყენება იმავე ან სხვა მომსახურების მიღებისათვის, ხორციელდება პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც წარდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან არაუგვიანეს 3 თვის განმავლობაში. საფასურის დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს გადახდილი თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება, თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და დასაბრუნებელი თანხის მისაღებად გამოყოფილი ანგარიშის ნომერი. სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის უკან დაბრუნების ან მისი სხვაგვარად გამოყენების შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

5. გადახდილი საფასურის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებასთან დაკავშირებული საბანკო მომსახურების ხარჯის გადახდა ეკისრება საფასურის გადამხდელს.

6. ამ წესით დადგენილი ცალკეული მომსახურების გაწევის/მიღების პროცესში, მეორე მხარისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პირობები და წესი დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი

პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' განსაზღვრული, ცხოველებთან დაკავშირებული ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მიზანმიმართულად განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებით დაფუძნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო (ამოქმედდა 2015 წლის 1 იანვრიდან) და დამტკიცდა მისი წესდება (დებულება).

1. სააგენტოს წესდებით (დებულებით) განსაზღვრული ძირითადი ფუნქციები, სხვა კომპლექსურ ღონისძიებებთან ერთად, ასევე მოიცავს ისეთ საქმიანობას და მომსახურებას, როგორიცაა ცხოველთა ტრანსპორტირება მუნიციპალურ ან კერძო თავშესაფარში, ასევე სხვადასხვა აქციებზე და ღონისძიებებზე; ცხოველთა გაჩუქების და პოპულაციების მართვის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ან მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველების დაბრუნება პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე და სხვა. თუმცა, ტრანსპორტირების ვალდებულებები სააგენტოს შეექმნება მხოლოდ უპატრონო და უმეთვალყურეო ცხოველების შემთხვევებში, კონკრეტული ორი გამონაკლისის გარდა. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის № 7-28 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესის“ მე-2 მუხლის „ი“ პუნქტით დადგენილი „ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების“ *(შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული ცხოველის პატრონის ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება, ცხოველის პატრონის საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, ცხოველისგან ცხოველის პატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება)* არსებობის შემთხვევაში, ამავე წესის მე-6 მუხლის მე-5 და 22-ე პუნქტების საფუძველზე და ცხოველის პატრონის მიმართვის შემთხვევაში, ცხოველის პატრონი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ცხოველი ჩააბაროს ცხოველთა თავშესაფარში, ხოლო ცხოველის გადაყვანას თავშესაფარში და შემდგომი

პროცედურების ჩატარებას უზრუნველყოფს სააგენტო (ეს პირობა ასევე ვრცელდება ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში, მისი ლეშის ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად).

ამასთან აღსანიშნავია, რომ სააგენტოში შემოსული შეტყობინებების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ცხოველთა პატრონებს სურთ კვალიფიციური ვეტერინარული და სხვა მომსახურების მიღება საკუთარი ცხოველებისათვის, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფენ კერძო სექტორის მეშვეობით, სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე. ერთ-ერთი გავრცელებული პრობლემური საკითხია საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ტრანსპორტირება სხვადასხვა მიზნებით (ვეტერინარული მომსახურების ჩასატარებლად, გამოფენებზე და სხვა) თბილისის ფარგლებში, მათ შორის განსაკუთრებით ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში, მისი ლეშის ტრანსპორტირება, ბიოთერმულ ორმოში გაუვნებელყოფის მიზნით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოსახლეობისა და სააგენტოს ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელი და ხარისხიანი მომსახურების პროცესის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად ჩაითვალა და დღის წესრიგში დადგა საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული ცხოველების ტრანსპორტირების მომსახურების შემოღებისა და ამ მომსახურების საფასურის დაწესების საკითხის განხილვა.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის № 7-28 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესი“, სხვა მოვალეობებთან ერთად, ავალდებულებს ადამიანებს მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას. კერძოდ, „წესის“ მე-6 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „ცხოველის პატრონი ვალდებულია ცხოველის რეგისტრაციის მომენტისთვის ან რეგისტრაციის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს ცხოველის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა მიკროჩიპირებით, ან ტატუირებით, ან „საჭდით“ (ბირკით) და ყელსაბამით. იდენტიფიკატორი უნდა იძლეოდეს ცხოველის პირადი ნომრის და იდენტიფიკაციის განმახორციელებლის დადგენის შესაძლებლობას.“.

თბილისში ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცესის მონიტორინგის და ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ მიმდინარე ეტაპზე ცხოველების ჩიპირებას ახდენს ბევრი კერძო ვეტერინარული დაწესებულება, რომელთაგან 41-ს (ორმოცდაერთს) სააგენტოსთან უკვე გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება და ცხოველების ჩიპირებასთან ერთად, ახდენს მათ რეგისტრაციასაც, სააგენტოსგან უსასყიდლოდ მიღებული ერთიანი ნიმუშის სარეგისტრაციო მოწმობებით. ცხოველების რეგისტრაციის უფლების მინიჭების პროცესში ინიციატორებისგან მიღებული ინფორმაციით, ცხოველების ჩიპირების საფასური მერყეობს 15-დან 70 ლარამდე, რაც დამოკიდებულია, როგორც უშუალოდ მოწყობილობის (ჩიპის) ხარისხზე, მის თვითღირებულებაზე, ისე, კონკრეტული დაწესებულების მომსახურების ხარისხზე და მის ღირებულებაზე. ამავე ინფორმაციით, მიმდინარე ეტაპზე თბილისში არ არსებობს ჩიპირების სერვისი ცხოველის მესაკუთრის მისამართზე მისვლით, თუმცა აღნიშნულ მომსახურებაზე ფიქსირდება მზარდი მოთხოვნა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ცხოველების იდენტიფიკაციის დანარჩენი ორი ალტერნატიული საშუალების (ტატუირება და საჭდე) გამოყენება მიმდინარე ეტაპზე ფაქტიურად შეუძლებელია, ვინაიდან მსგავსი სერვისი თბილისში არ არსებობს. ამასთან, ბოლო პერიოდში დაფიქსირდა და სისტემატურად მატულობს სააგენტოში შეტყობინებების ოდენობა, რომლებიც ეხება სწორედ ტატუს და საჭდის საშუალებით ცხოველების

იდენტიპიკაციის სურვილს, აღნიშნული სერვისის განმახორციელებელი დაწესებულებების მისამართების მოთხოვნას და მოქალაქეთა ბუნებრივ უკმაყოფილებას, გამოწვეულს უარყოფითი პასუხით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოსახლეობისა და სააგენტოს ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელი და ხარისხიანი მომსახურების პროცესის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად ჩაითვალა და დღის წესრიგში დადგა საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული ცხოველების იდენტიფიკაციის მომსახურების შემოღებისა და ამ მომსახურების საფასურის დაწესების საკითხის განხილვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 79-ე მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად - „თბილისის საკრებულო უფლებამოსილია მთავრობის წინადადებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დაუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით) განსაზღვრული საქმიანობის, მომსახურების ან/და დაჩქარებული მომსახურების, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემის მომსახურების, საფასურის ოდენობა".

შესაბამისად, ზემოხსენებული მომსახურების სახეების საფასურის განსაზღვრისას, მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას:

1. **საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ტრანსპორტირების მომსახურების საფასურის დადგენის შემთხვევაში:**
   - ტრანსპორტირების მანძილი და დრო;
   - კონკრეტულ მანძილზე გახარჯული საწვავის ღირებულება;
   - კონკრეტულ მანძილზე და დროში გახარჯული სატრანსპორტო საშუალებათა ცვეთის ღირებულება;
   - კონკრეტულ დროში დახარჯული ადამიანური რესურსის შრომის ანაზღაურება;
   - სატრანსპორტო საშუალების სავალდებულო დეზინფიცირების ხარჯი, რაც წარმოდგენილია პროექტში.

2. **საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების იდენტიფიკაციის მომსახურების საფასურის დადგენის შემთხვევაში:**
   - მიკრო-ჩიპის, ტატუირების აპარატის და საჭდის (ბირკის) თვითღირებულება;
   - იდენტიფიკაციის სამივე საშუალების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ვეტერინარული მომსახურების ღირებულება, ამ მომსახურების პირის მიერ მითითებულ მისამართზე გაწევის შემთხვევაში;
   - ტრანსპორტირების საფასურის ღირებულება (იდენტიფიცირების მისამართზე ჩატარების მოთხოვნის შემთხვევაში), რაც წარმოდგენილია პროექტში.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ".

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი (დამატებითი) ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ამასთან ერთად, პროექტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ოდენობა (სახეების შესაბამისად) გამომდინარეობს შემდეგი მონაცემებიდან:

1. ცხოველების ტრანსპორტირების მომსახურება:

1. კონკრეტულ მანძილზე გახარჯული საწვავის ღირებულების გათვლისას გასათვალისწინებელია, რომ 2015 წლის გასული ექვსი თვის პერიოდის დაჯამებული მონაცემების მიხედვით, სააგენტოს ბალანსზე არსებული ავტომანქანა KIA FRONTIER-ის (რომლითაც განხორციელდება მომსახურება) საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე შეადგენს დაახლოებით 12-14 ლიტრ დიზელის საწვავს, შესაბამისად 10 კმ-ზე - 1.2-1.4 ლიტრს. ამასთან, შპს „კია მოტორს ჯორჯია"-სგან წერილობით მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქის პირობებში მოძრაობის ინტენსივობის, დატვირთულობის და რელიეფის გათვალისწინებით, ზემოხსენებული ავტომანქანის საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე შეადგენს დაახლოებით 13 ლიტრს. დიზელის საწვავის კონსოლიდირებული ტენდერის დღევანდელი ფასიდან გამომდინარე, ერთი ლიტრი დიზელის საწვავის ღირებულება შეადგენს 1.8 ლარს, შესაბამისად 1 კმ-ზე დიზელის საწვავის მიახლოებითი ხარჯი იქნება 0.13 x 1.8 = 0.234 ლარი. აღნიშნული ხარჯი შეიძლება შეიცვალოს საწვავის ღირებულების შესაძლო ცვლილების შემთხვევაში.

2. კონკრეტულ დროში დახარჯული ადამიანური რესურსის შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას, გასათვალისწინებელია, რომ რეაგირების ეკიპაჟი შედგება სამი წევრისაგან (ერთი მძღოლი-დამჭერი და ორი ცხოველებისა და ქვეწარმავლების დამჭერი). თუმცა, წარმოდგენილი მომსახურების გაწევისთვის საკმარისი იქნება ორი ადამიანის რესურსი (მძღოლი-დამჭერი და ცხოველებისა და ქვეწარმავლების დამჭერი). თითოეული ზემოხსენებული თანამშრომლის ერთი თვის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1180 ლარს. შესაბამისად, ეკიპაჟის ერთი წევრის დღიური ანაზღაურება იქნება 1180/30 = 39.3 ლარი, 2-კაციანი ეკიპაჟის დღიური ანაზღაურება იქნება 39.3 x 2 = 78.6 ლარი, ხოლო 2-კაციანი ეკიპაჟის მუშაობის ერთი საათის ანაზღაურება იქნება 78.6/24 = 3.275 ლარი, ხოლო ერთი წუთის - 0.055 ლარი.

3. კონკრეტულ მანძილზე თუ დროში გახარჯული სატრანსპორტო საშუალებათა ცვეთის ღირებულების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ ავტომანქანა KIA FRONTIER-ის საბალანსო ნარჩენი ღირებულება არის 34152 ლარი. წლიური ცვეთა შეადგენს 34152 x 20% = 6804.4 ლარს. შესაბამისად, დღიური ცვეთა იქნება 6804.4/365 = 18.7 ლარი, ერთი საათის ცვეთა - 18.7/24 = 0.78 ლარი, ერთი წუთის ცვეთა - 0.013 ლარი.

4. სატრანსპორტო საშუალების სავალდებულო დეზინფიცირების ხარჯის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ დეზინფექცია ჩასატარებელი იქნება მხოლოდ ცხოველის ტრანსპორტირების შემთხვევაში და, შესაბამისად, ეს ღირებულება არ აისახება პატრონის მიერ მითითებულ მისამართზე ცხოველის იდენტიფიკაციის მიზნით განხორციელებული პერსონალის ტრანსპორტირების შემთხვევაში. ასევე, ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი დამუშავებისთვის საჭიროა 0.9 ლარის ღირებულების სადეზინფექციო საშუალება, ხოლო სადეზინფექციო მომსახურების ღირებულება შეადგენს 1.1 ლარს. შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი დეზინფიცირების საერთო ღირებულება იქნება 0.9 + 1.1 = 2.0 ლარი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული ცხოველების ტრანსპორტირების მომსახურების თვითღირებულება, საფასურის შეადგენს:

- ტრანსპორტირება 1 კილომეტრის მანძილზე (დაახლოებით 2 წუთი) – 0.37 ლარი (საწვავი 0.234 + ანაზღაურება 0.11 + ცვეთა 0.026);
- ტრანსპორტირების საერთო მანძილის (კილომეტრების) გათვალისწინებით მიღებულ საერთო საფასურს დაემატება ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური - 2 ლარი.

ანგარიშსწორების გამარტივების და შესაძლო გაუთვალისწინებელი დანახარჯების კომპენსირების მიზნით, „საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული ცხოველების ტრანსპორტირების მომსახურების“ საფასური მიზანშეწონილია განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ტრანსპორტირება 1 კილომეტრის მანძილზე - 1 ლარი, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური - 2 ლარი.

<u>2. საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების იდენტიფიკაცია:</u>

1. სააგენტოს მიერ სამომხმარებლო ბაზრის კვლევის შედეგად დადგენილი შესაბამისი მონაცემების და ხარისხის ცხოველის ჩიპის თვითღირებულება (შესყიდვის ყველა პროცედურის დასრულების შემდგომ) შეადგენს ცხრა ლარს. ჩიპირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ექიმი-ვეტერინარის მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ჩიპის ინპლანტაციას (ინიექციით) ცხოველის სხეულში - 3 ლარი. თუმცა, აღნიშნული მომსახურების გაწევა თავშესაფარში არ იქნება დაკავშირებული პერსონალის რესურსის მნიშვნელოვან ხარჯვასთან, რის გამოც თავშესაფარში ამ მომსახურების გაწევა შესაძლებელია უსასყიდლოდ, განსხვავებით იდენტიფიკაციის პროცედურისა მისამართზე, სადაც აუცილებელი გახდება ექიმი-ვეტერინარის დამატებითი რესურსის მოძიება-ანაზღაურება. შესაბამისად, ჩიპირების საერთო თვითღირებულება თავშესაფარში იქნება 9 ლარი (ტარიფში - 10 ლარი), ხოლო მისამართზე ჩიპირების ჩატარების სურვილის შემთხვევაში - ჩიპირების ღირებულებას დაემატება „ტრანსპორტირების მომსახურების“ თბილისის მაშტაბით საშუალოდ გაანგარიშებული (10 კილომეტრი) ღირებულება - 10 ლარი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო დეზინფიცირების ღირებულების (2.0 ლარი) გამოკლებით) და ექიმი-ვეტერინარის მომსახურების ღირებულება - 3 ლარი.
2. სააგენტოს მიერ სამომხმარებლო ბაზრის კვლევის შედეგად დადგენილი შესაბამისი მონაცემების ცხოველის ტატუირების აპარატის თვითღირებულება მერყეობს 100-დან 700 ლარამდე, თუმცა ტატუირების აპარატის შეძენა დაკავშირებული იქნება ერთჯერად და მცირე ღირებულების დანახარჯთან, რის გამოც ამ მომსახურების ღირებულებაში აისახება მხოლოდ სპეციალური ანტისეპტიკური მელნის ერთჯერადად გამოყენების ღირებულება - 0.5 ლარი. ამასთან, ტატუირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ექიმი-ვეტერინარის მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის სხეულის ნაწილის დამუშავებას - გაპარსვას, დეზინფიცირებას და მარკირებას, რაც ერთობლიობაში შეადგენს 3 ლარს. თუმცა, აღნიშნული მომსახურების გაწევა თავშესაფარში არ იქნება დაკავშირებული პერსონალის რესურსის მნიშვნელოვან ხარჯვასთან, რის გამოც თავშესაფარში ამ მომსახურების გაწევა

შესაძლებელია უსასყიდლოდ, განსხვავებით იდენტიფიკაციის პროცედურისა მისამართზე, სადაც აუცილებელი გახდება ექიმი-ვეტერინარის დამატებითი რესურსის მოძიება-ანაზღაურება. შესაბამისად, ტატუირების თვითღირებულება თავშესაფარში იქნება 0.5 ლარი (ტარიფში 1 ლარი), ხოლო მისამართზე ტატუირების ჩატარების სურვილის შემთხვევაში - ტატუირების ღირებულებას დაემატება „ტრანსპორტირების მომსახურების" თბილისის მაშტაბით საშუალოდ გაანგარიშებული (10 კილომეტრი) ღირებულება - 10 ლარი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო დეზინფიცირების ღირებულების (2.0 ლარი) გამოკლებით და ექიმი-ვეტერინარის მომსახურების ღირებულება - 3 ლარი.

3. სააგენტოს მიერ სამომხმარებლო ბაზრის კვლევის შედეგად დადგენილი შესაბამისი მონაცემების და ხარისხის ცხოველის საჭდის და მისი სათანადო მარკირების თვითღირებულება (შესყიდვის ყველა პროცედურის დასრულების შემდგომ) შეადგენს 2 ლარს. საჭდის დადების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ექიმი-ვეტერინარის მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის სხეულის ყურის დამუშავებას - გაპარსვას, დეზინფიცირებას და მარკირებას, რაც ერთობლიობაში შეადგენს 3 ლარს. თუმცა, აღნიშნული მომსახურების გაწევა თავშესაფარში არ იქნება დაკავშირებული პერსონალის რესურსის მნიშვნელოვან ხარჯვასთან, რის გამოც თავშესაფარში ამ მომსახურების გაწევა შესაძლებელია უსასყიდლოდ, განსხვავებით იდენტიფიკაციის პროცედურისა მისამართზე, სადაც აუცილებელი გახდება ექიმი-ვეტერინარის დამატებითი რესურსის მოძიება-ანაზღაურება. შესაბამისად, საჭდის დადების ღირებულება თავშესაფარში იქნება 2 ლარი (ტარიფში 3 ლარი), ხოლო მისამართზე საჭდის დადების სურვილის შემთხვევაში, საჭდის დადების ღირებულებას დაემატება „ტრანსპორტირების მომსახურების" თბილისის მაშტაბით საშუალოდ გაანგარიშებული (10 კილომეტრი) ღირებულება - 10 ლარი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო დეზინფიცირების ღირებულების (2.0 ლარი) გამოკლებით და ექიმი-ვეტერინარის მომსახურების ღირებულება - 3 ლარი.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.